



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულო სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ღებვათის თვის აქტივობები

კონფლიქტები	2
აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების „თაფლაკვერის პოლიტიკა“ გალის რეგიონში	2
ქალთა სიკვდილიანობა და აკრძალული აბორტი აფხაზეთში	2
ლათის ტრაგედია	3
უკანონო დაკავებების უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი ცხინვალში	3
უსაფრთხოება	4
პოლიტიკური ნიშნით დევნა... Error! Bookmark not defined.	
ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტის გამოძიება უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება.....	5
DRI-მ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომიებო საქმიანობაზე შეხვედრა გამართა	5
ღებვათის ინფორმაცია	6
ოკუპირებულ ხაზთან მცხოვრები სტუდენტების პრობლემებს საზოგადოებრივი მაუწყებელი ყალბ ინფორმაციად აფასებს	6
DRI-ის კოალიციური საქმიანობა.....	6

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების „თაფლაკვერის პოლიტიკა“ გალის რეგიონში

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების პრობლემებზე, საჭიროებებსა და მათ ინტეგრაციაზე.

ამჯერად DRI საუბრობს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკაზე გალის რეგიონში, რომელიც აგრძელებს გალელი ქართველების „აფხაზობაში გადაბირების“ ხაზს და ცდილობს კიდევ უფრო მეტ გალელს შეუქმნას ცდუნება, უარი თქვას ქართულ ეთნიკურ კუთვნილებაზე და თავი მურზაყანელ აფხაზად აღიაროს. ასეთი პოლიტიკა, შიდა გამყოფ ხაზებს აღრმავებს თავად გალის რეგიონშიც და უნდობლობას აჩენს ქართული

ეთნიკური კუთვნილების მსურველ და მის დამთმობ პირებს შორის.

ამ პოლიტიკით აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა, ერთის მხრივ, თესავს გაღიზიანებას, ხოლო მეორეს მხრივ, დაბლა სწევს მორალურ სტანდარტს, რომელიც პრაგმატული თვალსაზრისითაც არ ითამაშებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეის სასარგებლოდ. პასპორტიზაცია და კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტრუმენტები ხელს უწყობს არა აფხაზეთის, როგორც ქვეყნის იდენტობის გაძლიერებას, არამედ ახალისებს რუსეთის ფედერაციის რბილ ძალას.

ქალთა სიკვდილიანობა და აკრძალული აბორტი აფხაზეთში

ქალები აფხაზეთში საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ნაწილს წარმოადგენენ. საზოგადოებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ქალი პატივსაცემი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც შვილებს გააჩენს.

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა 2016 წელს მიღებული რეგულაციით აბორტი აკრძალა, მათ შორის, სამედიცინო მოსაზრებით, რის გამოც უკანონო აბორტების რიცხვი გაიზარდა, მიღებული გადაწყვეტილება კი ქალთა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე აისახა.

ორგანიზაცია აცხადებს, რომ აუცილებელია, აფხაზეთში უზრუნველყოფილი იყოს ქალთა უფლებების დაცვა და აღიარება. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციას, აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის მიერ განსაზღვრული აბორტის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებსა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამებოდეს.

ლათის ტრაგედია

დეკემბრის თვეში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა გაიხსენა ლათის ტრაგედია, რომელიც 1992 წლის 14 დეკემბერს, აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფელ ლათასთან მმართველელი ომის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა გახდა.

ტრაგედიის 29 წლის თავზე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი საქართველოს ხელის-

უფლებას მიმართავს, დააფიქსიროს ოფიციალური პოზიცია ტრაგედიის მიმართ; უზრუნველყოს ლათის ტრაგედიის გამოძიება მასში მონაწილე ყველა პასუხისმგებელი პირის გამოსავლენად; 14 დეკემბერს, ლათის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, დააწესოს ხსოვნის დღე.

ახალი წლიდან გალელეების ნაწილს, შესაძლოა, გადაადგილების უფლება შეეზღუდოს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ახალი წლიდან შესაძლოა გალში ფორმა №9 გაუქმდეს, რომელიც ამ რაიონის მცხოვრებთა ნაწილისთვის გადაადგილების უფლებასთანაა დაკავშირებული.

გადაადგილებისთვის აუცილებელი დოკუმენტის გაუქმება ადგილობრივებისთვის დამატებითი ბარიერის შექმნას ემსახურება.

სახლში ვერ დაბრუნების შიშით, ხუთი ათასი გალელი, შესაძლოა, იძულებული გახდეს,

აფხაზურ-რუსული პასპორტით ისარგებლოს. არსებობს სხვა გამოსავალიც: ორ თვეზე მეტი ხნით ლოდინი ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან რუსი სამხედროებისთვის ქრთამის მიცემა.

ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას მართებს მკაფიო პოზიციის დაფიქსირება. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაააქტიუროს მუშაობა გალელეების დისკრიმინაციის აღსაკვეთად, უზრუნველყოს მათი ინტერესების დაცვა და დარღვეული უფლებების აღდგენა.

უკანონო დაკავებების უპრეცედენტოდ მაღალი

ცხინვალში ე.წ. მესაზღვრეების მხრიდან აქტიური ბორდერიზაციის პროცესის პარალელურად, გახშირდა „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს მოქალაქეების დაკავება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ცხინვალში საოკუპაციო ძალების მხრიდან სიტუაციის გაუარესების ტენდენციაზე ხაზგასმა და საერთაშორისო საზოგადოებასთან პროაქტიული მუშაობა, ზემოაღნიშნული საკითხების სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებისთვის.

შესაბამისად, ორგანიზაციამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაატაროს ზომები, ცხინვალში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის დასაზუსტებლად და საზოგადოებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მისაწოდებლად. ასევე, მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას და საქართველოს ხელისუფლებას, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი ცხინვალში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ გასათავისუფლებლად.

პოლიტიკური ნიშნით დევნა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები დმანისში ჩავიდნენ და ადგილზე შეისწავლეს დმანისის საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერით შესული მაჟორიტარი დეპუტატის რამიზ რამაზანოვის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ზეწოლის ფაქტი.

სამწუხაროდ ტენდენციად იქცა საარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში მასწავლებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ზე-

წოლის, დაშინებისა და მუქარის ფაქტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ადგილობრივების გადმოცემით, დაშინებაში ძირითადად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პოლიციის წარმომადგენლები მონაწილეობენ. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მითითებული მეთოდების გამოყენება მოსახლეობაში ზრდის რადიკალიზაციას, ნერგავს უიმედობას და სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ ნდობას მინიმუმამდე ამცირებს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოუწ-

ოდა შესაბამის დაწესებულებებს, შეისწავლონ დმანისსა და სხვა რეგიონებში ოპოზიციონერ დეპუტატთა მიმართ სავარაუდო პოლიტიკ-

ური დევნის ფაქტები და უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტის გამოძიება უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი გამოეხმაურა ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას გარდაცვალების საქმის გამოძიების არაეფექტურობას, უსაფუძვლოდ გაჭიანჭურებასა და გაუმჭვირვალობას.

ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიების გაჭიანჭურება მოძალადეებისთვის და ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორებისათვის ხელის დაფარების მცდელობად შეიძლება იყოს განხილული. უკიდურესად შემაშფოთებელია ისიც, რომ ამ

ეტაპამდე, არ არიან დაკავებულები მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები, მიუხედავად იმისა, რომ მათი ვინაობის შესახებ ცნობილია როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ასევე, საგამომეხო ორგანოებისთვის.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოუწოდა საგამომეხო ორგანოებს, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების საქმეზე აწარმოონ ობიექტური გამოძიება და დააკავონ 5-6 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორი პირები.

DRI-მ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომეხო საქმიანობაზე შეხვედრა გამართა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სამუშაო შეხვედრა გამართა თემაზე „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომეხო ფუნქციები და სისხლის სამართლის საქმეთა განაწილება საგამომეხო სტრუქტურებში.“ შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დისკუსიის დაწყების ხელშეწყობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის ცალკეული დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილების ჩამოშორების აუცილებლობაზე, რაც თავ-

ის მხრივ, შეამცირებს საგამომეხო სტრუქტურების პოლიტიზებას.

შეხვედრამდე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ მომზადებული [პოლიტიკის დოკუმენტი](#) სახელმწიფო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაეგზავნათ.

ოკუპირებულ ხაზთან მცხოვრები სტუდენტების პრობლემებს საზოგადოებრივი მაუწყებელი ყალბ ინფორმაციად აფასებს

დეკემბერში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებმა რამდენიმე სტუდენტმა მიმართა, რომელთაც გაუგებარი მიზეზებით უმაღლესი განათლების საფასურის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე ეთქვათ უარი. ამ პრობლემურ საკითხზე DRI-მ თავისი პოზიცია დააფიქსირა და ეს ქმედება ახალგაზრდების მიმართ არათანასწორ და უსამართლო მოპყრობად შეაფასა. საკითხის მედიაში გაშუქების შემდგომ, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სტუდენტებისთვის დაფინანსების შეწყვეტის ფაქტების გადამოწმების გარეშე, ყალბ ინფორმაციად შეაფასა, რაც ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, სწორედ საზოგადოებისთვის საჭირობო საკითხების გაშუქებისთვის ფინანსდება, სტუდენტების მიერ გაჟღერებული პრობლემით არც დაინტერესდა და საკითხი ადგილობრივ მოსახლეობასთან და სტუდენტებთან გადაუმოწმებლად გააშუქა, ხოლო პრობლემა „სტუდენტები არ ფინანსდებიან“ ყალბ ნარატივად წარმოადგინა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მიმართა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, უარეყო მის მიერ არასწორად გაშუქებული ინფორმაცია.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან და ერთობლივ განცხადებებს/მიმართვებს ავრცელებს.

დეკემბრის თვეში DRI-ის მხარდაჭერითა და ჩართულობით გავრცელდა ოთხი კოალიციური განცხადება.

პირველი [განცხადება](#) ეძღვნებოდა დმანისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის რა-

მიზ რამაზანოვის სავარაუდო პოლიტიკური შევიწროების საქმეს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, მიეღო ყველა ზომა მისი უსაფრთხოების და ღირსების დასაცავად.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად [მოუწოდა](#) ხელისუფლებას, შეეწყვიტა თავდასხმები დამოუკიდებელი ინსტიტუტების მისამართით და

შექმნა ყველა პირობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შეუფერხებელი საქმიანობისთვის.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების დაჩქარებული წესით განხილვასთან დაკავშირებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებში ცვლილებების ნაკლოვანებებზე გაამახვილა ყურადღება და

[მოუწოდა](#) პარლამენტს, შეეჩერებინა ინიცირებული კანონპროექტის განხილვა.

დეკემბრის ბოლო [განცხადებით](#) დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, ვეტო დაედო საერთო სასამართლოების კანონში შესატანი ცვლილებებისთვის, ვინაიდან ცვლილებები მნიშვნელოვნად ზღუდავს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას და აუქმებს სასამართლო რეფორმის ოთხი ტალღის შედეგებს.